| **პერიოდი** | **მოქალაქეთა განცხადებების საერთო რაოდენობა** | **განცხადებებში დასახელებული ძირითადი პრობლემები** | **საპარლამენტო ფორმატებში განცხადებებზე რეაგირებათა რაოდენობა** (*კომიტეტის ან პლენარულ სხდომაზე საკითხის დაყენება, წერილობითი კითხვა, ინტერპელაცია, საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენა, რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა ბერკეტის გამოყენება/ინიცირება)* | **რეაგირებისთვის სხვა უწყებაში გაგზავნილ განცხადებათა რაოდენობა** | **არ განუხილავს (უპასუხოდ დარჩენილი/მიმდინარე განცხადებების რაოდენობა)** |
|---|---|---|---|---|---|
| **პასუხები წარმოდგენილია დეპუტატის მიერ მოწოდებული სახით** | | | | | |
| 10.12.2020 - 31.03.2021 | | კომუნიკაციისას ძირითადად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:<br><br>სოციალურ პრობლემები - სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და დევნილების საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, ერთჯერადი სოციალური დახმარებების გაწევა, საკუთარი პროფესიითა და შესაძლებლობებით დასაქმება;<br><br>ჯანმრთელობის დაცვის საკითხები - მოქალაქეებს აინტერესებთ რა საშუალებებით არის შესაძლებელი ოპერაციებისა თუ მედიკამენტების ხარჯების დაფარვა და ესაჭიროებათ მაჟორიტარის შუამდგომლობა;<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობას დაქვემდებარებული საკითხები - მიწის ნაკვეთის/ავტოფარეხის/საცხოვრებელი ფართის დაკანონება / გაფორმება, წყლის, კანალიზაციის, კორპუსების ლიფტების, გზების კეთილმოწყობის, სკვერების რეაბილიტაციის, ტრანსპორტის დამატების და მსგავსი ხასიათის პრობლემები;<br><br>მიმდინარე საკანონმდებლო ინიციატივების გავლენა კონკრეტული მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაზე - სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულების ამნისტიისა და სამშენებლო ამნისტიის საკითხებზე; | | | |